№ 125
ოთხშაბათი, 25 ივნისი 1897 წ.

1877 – 1897

# ივერია

№ 125
...აბათი, 25 ივნისი 1897 წ.

გაზეთის ღირს:

| თვ. | მან. კ. | თვ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 1 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 0 | 8 75 | 4 | 4 75 |
|  | 8 — | 3 | 3 50 |
| 1 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 1 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

მღვდელი იოანნე ანტონის ძე ანდრიაშვილი, სოფიო სოლომონის ასული და ნადვორნი სოვეტნიკი ზაქარია გიორგის ძე ყანდარელები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა მეუღლისა პირველისა, ძმისწულისა მეორისა და ბიძაშვილი'ა მესამისა

**ნინა გიორგის ასულის ანდრიაშვილისას.**

მიცვალებული კუკიის ნინო-წმიდის სასაფლაოს ეკკლესიაში იქმნება გასვენებული 26 ამ თვისას, დილის 9 საათზედ. პანაშვიდი გარდახდილი იქმნება 25, დილის 4 საათზედ და საღამოს 7 საათზედ, ახალი არსენალის ქუჩა, № 36. (1—129—1)

**ქვრივი** ქუთაისის ნოტარიუსისა ისიდორე გიორგის ძის **ბაბაშვილისა დარია ზაალის ასული** მადლობას უძღვნის განსვენებულის ქრმის იმ მეგობართა და ნაცნობთ, რომელთაც ინებეს წერილით თუ დეპეშით მის უნუგეშო უბედურებაში მონაწილეობის მიღება და ნუგეშის-ცემა. (1—1)

## ივერიის რედაქციისაგან

ვაუწყებთ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც მხოლოდ ნახევარის წლის ფული აქვთ შემოტანილი, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ არ წარმოადგინეს დანარჩენი ფულიც.

ამასთან ვაცნობებთ ხელის-მომწერლებს, რომ თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა, უნდა წარმოადგინოს ერთი მანეთი, ხოლო სხვა ყოველის ადრესის შეცვლისათვის-კი—ორი აბაზი.

ტფილისი, 24 ივნისი.

დიდი დასაბუთება აღარ უჭირდა იმ აზრს, რომ კერძოდ ჩვენი ქვეყანა და საზოგადოდ რუსეთის სახელმწიფო დიდს ნაკლებულობასა ჰგრძნობს მკურნალებისას. როგორც ჩვენში, ისე რუსეთში მკითხავ მარჩიელები და ცრუ ექიმები უფრო ბევრნი არიან, ვიდრე ესრედ წოდებული „ნასწავლი" მკურნალები, რომელთაც ნდობა უკვე მოიპოვეს ხალხისა და ისე აღარ ერიდება მდაბიო, სოფლის მკვიდრი, ისე აღარ ეტანება მკითხავ-მარჩიელობის წამლობას, როგორც უწინ იყო. კარგა ხანია, ქალაქად მაინც, გაჰქრა დრო მოლა-აბაშებისა, რომელნიც შელოცვით ჰკურნავდნენ ვითომ ხალხს და ავგაროზებით არჩენდნენ ყოველ გვარ სნეულებას.

თუ თითო-ოროლა ასეთი ექიმბაში დარჩა სადმე, ისიც სოფლად და იქაც უფრო იმ მიზეზით, რომ მდაბიო დედაკაცობა, ჩვენი გდემა მოსილი გლეხის დედაკაცი ერიდება, უფრთხის ვაჟკაცის წამლობას. ვინ მოსთვლის, რამდენი სული შეუწირავს დედათა სნეულებას, მკითხავთა და შინაურ წამლობის მეოხებით გამწვავებულს და სასიკვდილოდ გარდაქმნილს! ჩვენი ქართველი, სომეხი თუ მაჰმადიანი დედაკაცი მდაბიო წოდებისა, ქალაქად თუ სოფლად, თუ მიეტანება, ისევ დედაკაცსავე, სამკურნალო ცოდნით აღჭურვილს, თორემ მამაკაცს, როგორც ვთქვით, იგი შორს გაურბის, ერიდება გაუმჟღავნოს თავისი სატკივარი. კიდეც ეს არის მიზეზი, რომ იშვიათად თუ ჩვენი მანდილოსანი მივა ხოლმე მამაკაც მკურნალთან და ჩვენის ქვეყნის მკურნალებს მრავალ მამაკაც ავადმყოფთან დიდაკაცი ავადმყოფები ცოტა ჰყავთ; ესევეა მიზეზი, რომ ორიოდე მკურნალ ქალს, ჩვენს ქალაქში დასახლებულს, იმდენი ავადმყოფი ჰყავთ, რომ წამლობას ვერ ასდიან არა თუ იმათ, ბებია და ფერშალ ქალებსაც-კი ბევრი ასეთი ავადმყოფი ეტანება და სთხოვს შველასა და დახმარებას ყოველ გვარ სენისას.

სულ ოც-და-ხუთი წელიწადი არ იქნება მას შემდეგ, რაც რუსეთში მკურნალობა დაიწყეს იმ ქალებმა, რომელთაც საექიმო და სამკურნალო ცოდნა საზღვარ-გარეთ ჰქონდათ შეძენილი. შემდეგ ხომ სამკურნალო კურსებიც დაარსდა და რამდენიმე ასი მკურნალი-ქალი, ამ კურსებზედ ნასწავლი, მოეფინა რუსეთის დაბა-ქალაქებს. რუსეთის მწერლობას არა ერთხელ აღუნიშნავს ის დიდი სიკეთე და სარგებლობა, რომელიც ამ მკურნალ ქალთა მოღვაწეობას მოჰყვა. კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ ამ სამკურნალო კურსების გაუქმებამ საერთოდ რუსეთში ყველა შეგნებული ადამიანი დააღონა და მწერლობა მთელის ათის წლის განმავლობაში ასეთის სამკურნალოს კვლავ დაარსებას დაჟინებითა თხოულობდა და იმისს სარგებლობას დაბეჯითებით აღნიშნავდა.

როგორც ვიცით, ეს სარგებლობა დედათა სამკურნალო სასწავლებლის დაარსებისა უკვე გაითვალისწინა მთავრობამ და ამ შემოდგომიდგან პეტერბურგში არსდება დედათა სამკურნალო ინსტიტუტი. თუ რამდენად შეგნებულია სარგებლობა ასეთის ინსტიტუტისა, ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ ამ ინსტიტუტს ბევრმა კერძო გაცმა და საზოგადო დაწესებულებამ დიდ-ძალი ფული შესწირეს და რუსეთის მრავალმა ერობამ-კი სტიპენდიებიც დააწესეს, რომ ამ ინსტიტუტში ნასწავლნი ქალნი ვალდებულნი იყვნენ სწავლის დამთავრების შემდეგ რამდენსამე წელს ამ ერობის სამსახურში ყოფნას.

ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ერობა არ არის შემოღებული და ასეთის სტიპენდიების დაარსებას იგი ვერ იკისრებს. ხოლო ის-კი სასურველია, რომ ამიერ-კავკასიის ქალაქების თვითმართველობათ მიჰბაძონ რუსეთის ერობათა მაგალითს და რამდენიმე სტიპენდია დააარსონ ქართველ ქალებისათვის, რომელნიც სწავლის დამთავრების შემდეგ ჩამოვლენ, დატრიალდებიან ჩვენს ქვეყანაში და, რასაკვირველია, დიდს სარგებლობასა და სიკეთეს მოიტანენ. ამ სარგებლობასთან, რადა თქმა უნდა, სალაპარაკოდაც არა ჰღირს ის მცირედი ხარჯი, რომელიც ასეთ სტიპენდიების დაწესებას დასჭირდება.

ეს საქმე პირდაპირი მოვალეობაა ჩვენთა ქალაქთა თვით-მართველობებისა, რადგან „საქალაქო დებულებით", სხვათა შორის, მცხოვრებთა ჯან-მრთელობისათვის ზრუნვაც იმათა აქვთ დავალებული და დაკისრებული და ასეთის ზრუნვის გამოჩენა ხომ ყოვლად საჭიროა, მეტადრე ჩვენში, სადაც ათას გვარი გადამდები და არა-გადამდები სენი მძვინვარებს და მუსრს ავლებს დიდსა და პატარას.

ფარნაოზი

## მთავრობის განკარგულებანი

### მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

საზოგადოების საშუალებანი.

§ 30. ადგილსა და დროს საზოგადო კრებისას, აგრეთვე კრების მიერ განსახილველს საგნებს, გამგეობა ადრევე ატყობინებს წევრებს; ადრევე ატყობინებს აგრეთვე ადგილობრივის პო-

*) იხ. „ივერია", № 124.

## ფელეტონი

### „სურბ გეორქი" თუ წმიდა გიორგი.

(წერილი დუშეთიდგან)

დუშეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის რწმუნებულთაგან მთავრობისათვის მიცემულის თხოვნის შესახებ, აქაურ სომხებისგან ბოდავის წმიდა გიორგის ნიშის მითვისებისა გამო, გაზ. „Кавказъ"-ში დაბეჭდილმა პატარა შენიშვნამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, გამოიწვია გაზ. „Новое обозрѣніе"-სა და „Тифл. Лист."-ში დუშეთიდან კორესპონდენციები, რომლის ავტორებიც ცალ მხრივისა და სიმართლეს მოკლებულ მსჯელობით სცდილობენ საქმის ნამდვილ გარემოებათა გამორკვევას როგორმე ხელი შეუშალონ.

„Нов. Обозр."-ში დაბეჭდილ კორესპონდენციის ავტორი სცდილობს დაარწმუნოს მკითხველი საზოგადოება, რომ ხსენებული ნიში სურბ გეორქისაა, ეკუთვნის სომხებს და არა ქართველებსა; რომ ეს ნიში წარმოადგენს სომხის სასაფლაოზედ აშენებულს ეკკლესიას, სადაც ქართველ მღვდლებს არასოდეს მღვდელ მოქმედება არ უსრულებიათო. ამ გვარად, ავტორი ნიშის შესახებ სიტყვას ბანზე აგდებს ალბად იმ იმედით, რომ მკითხველებმა საქმის გარემოება არ იციან და ამის გამო ვერ მიუხვდებიან და გადააქვს სჯა სომხის სასაფლაოს ეკკლესიაზედ და განაგრძობს, რომ თვით ეს ეკკლესია სომხის სასაფლაოზეა აშენებული ოჰანეზ მანდენოვისაგან, ნაკურთხია სომხის სამღვდელოების მიერ და ესევე სამღვდელოება ასრულებდა და ასრულებს იქ ღვთისმსახურებასაო. ეჭვი არაა, წერილის ავტორს უნდა, რომ ამით დუშელ სომხების მიერ მითვისებული ნიში სომხის სასაფლაოსა და ამ სასაფლაოს ეკკლესიას ამოაფაროს, თორემ საქმეს ასე დომხალივით არ აურ-დაურევდა, რადგან სომხებისგან მითვისებული ნიში სულ სხვაა, სომხის სასაფლაო და მისი ეკკლესია—სულ სხვა.

აქამდე ჩვენში არც-კი ვინმემ იცოდა, ვინ სომეხი იყო და ვინ ქართველიო, ისე ძმურადა და მშვიდობიანადა ვცხოვრობდით ერთმანეთშიო, გულ-ტკივნეულად შენიშნავს წერილის ავტორი, მაგრამ ზოგიერთმა წრეს გადასულმა მწერლებმა გაზ. „Кавказъ"-ის ახალის „იჯარადარის" ბ-ნის ველიჩკოს წყალობით ჩვენშიც სიძულვილი ჩამოაგდეს და თვით ამ ზევით დასახელებულის თხოვნის მიცემაც შედეგია იმ წრეს-გადასულ მწერლების არა-საკეთილო მოღვაწეობისაო. განაგრძობს სხვისი სიწმიდის მითვისებით მართლაც რომ თავს-გასული და წრეს-გადასული დუშელი სომხების მფარველი, ავტორი ამ კორესპონდენციისა.

ოღონდაც, რომ ის დრო სანატრელი იყო სომხებისათვის, ძალიან სანატრელიც, და მით დუშელი სომხები ძალიან ოსტატურადაცა სარგებლობდნენ, მაგრამ ესევე არ ითქმის ქართველების შესახებ, რომლებსაც ამ „ძმურმა და მეგობრულმა" განწყობილებამ, სხვათა შორის, თავიანთი მამა პაპის სიწმიდენიც-კი ხელიდგან გამოაცალა.

არხიფანატიკოსი უნდა იყოს იქამდის მისული კაცი, რომ ეს მივიწყებული და უმნიშვნელო საქმე გაალვიძოს და ამით ამ ორის მოძმე ერის ურთიერთობა გაამწვავოსო, დიდის რიხითა ჰბრძანებს კორესპონდენციის უსახელო ავტორი. არხიფანატიკოსზედ გაცილებულიც უნდა იყოს კაცი, რომ სხვის სიწმიდესა და სალოცავს ეგრე დაურიდებლად წაატანოს ხელი, როგორც დუშელმა სომხებმა წაატანეს ხელი ბოდავის წმიდა გიორგის ნიშს და აგრეთვე ისიც, რომელიც საზოგადოების თვალის ასახვევად ვისთანმე ძმობა-ერთობისა და მეგობრობის ჰანგზედ მღერას მოჰყვეს მარტო მაშინ, როცა სახრავს რასმე აგულებს, და საზოგადოებისავე თვალის ასახვევად ბოდავის წმ. გიორგის ნიშის მითვისებას სომხის სასაფლაოსა და ამ სასაფლაოს ეკკლესიას აფარებს, მაშინ როდესაც არც სასაფლაოს და არც მათგან იქ „აშენებულს" ეკკლესიას არავინ არ ედავება სომხებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სასაფლაოს ეკკლესიაც ოდესღაც ქართველებისა ყოფილა ბოდავის წმ. გიორგის სახელობაზედ აშენებული და ეს ეკკლესიაც ისევე აქვთ სომხებს მითვისებული, როგორც ბოდავის წმ. გიორგის ნიში იმ „ძმურისა" და ქართველებთან „მეგობრულ" ცხოვრების დროს, რომელსაც ისე სინანულით იხსენიებს „Новое Обозрѣніе"-ში დაბეჭდილი კორესპონდენციის უსახელო ავტორი და რომელმაც სხვაც ბევრი რამ გამოაცალა ქართველებს ხელიდგან.

იმის თქმა, რომ აქამდის ჩვენში არც კი ვინმე იცოდა, ვინ ქართველი იყო და ვინ სომეხიო, ერთი იმ ხერხთაგანია, რომლითაც ეს ჩვენი აჴირებული მოძმეები ახერხებენ ერთსა და იმავე დროს სიმდიდრეც შეიძინონ, ხალხის თვალში უმანკოებაც შეირჩინონ და, სადაც საჭიროა, თვალებიც აუხვიონ სხვასა. იქნება ქართველების მხრივ-კი შესაძლებელი იყოს ამ გვარი გულ-უბრყვილო არ-ცოდნა თავისისა და სხვისისა, მაგრამ რომ სომხებს ბ-ნი ველიჩკოს რედაქტორობამდევე ძალიან ადრევე და ძალიან კარგადაცა სცოდნიათ თავისიანების გარჩევა ქართველებისაგან, ამას ქვევითაც დავინახავთ, ეხლა-კი დავუბრუნდეთ ისევ ბოდავის წმ. გიორგის ნიშს.

დუშეთიდგან ნახევარის ვერსის მანძილზედ ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ არის მაღალი ქედი, რომელზედაც იმყოფება სომხებისგან მითვისებული და „სურბ-გეურქად" მონათლული ნიში ბოდავის წმ. გიორგისა. ამ ქედსაც ეხლა სურბ-გეორქის გორას უწოდებენ, ქართულად-კი ნაცარას ქედი რქმევია. ქედზედ აღმოსავლეთის მხრივ, სადაც ეხლა სომხების სასაფლაოა, წინად პატარა ეკკლესია ყოფილა ქართველებისა წმ. გიორგის სახელობაზედ აგებული, სადაც 10 ნოემბერს და 23 აპრილს, წმ. მთავარ-მოწამის გიორგის ხსენების დღეს, მოდენილა ლიტანიით მღვდელი მრავალი მლოცველებით

ლიციის უფროსს და საზოგადოების სახელოსნო-საწყობებში განცხადებებს აკრავს.

შენიშვნა. საზოგადო კრებაზედ მხოლოდ ის საგნები განიხილება, რომლებიც საზოგადო კრების მოწვევის დროს იქმნება გამოცხადებული და რომლებსაც საზოგადოების წესდებასა და მოქმედებასთან პირდაპირი დამოკიდებულება აქვს. ყოველივე საგანი, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს, უთუოდ პოლიციის ადგილობრივს უფროსსაც უნდა ეცნობოს.

§ 31. საზოგადო კრებას უთუოდ უნდა დაესწროს წევრთა $\frac{1}{5}$—$\frac{1}{3}$, რომელნიც ადგილობრივვე, სადაც საზოგადოების გამგეობაა, სცხოვრობენ; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საგანი საზოგადოების წევრთა გარიცხვას, წარმოების გაფართოებასა, სააღებ-მიცემო თანხის შემცირებას ან მომატებას, წესდების შეცვლასა და შეკრებას და საზოგადოების მოქმედების მოსპობას შეეხება, უთუოდ საჭიროა ყველა წევრთა $\frac{1}{5}$—$\frac{2}{3}$ *) დაესწროს. საზგადო კრებაზედ განსახილველი საგანი დამსწრე წევრთა ხმის უმეტესობით გარდასწყდება; გარდა იმ შემთხვევისა, რომლებიც ამ §-ში არის მოხსენებული და რომელთა გარდასაწყვეტადაც საზოგადო კრების დამსწრე წევრთა $\frac{2}{3}$ საჭიროა. თუ რომ ხმები შუაზედ გაიყოფა, როდესაც საქმე ჩვეულებრივის ხმის უმეტესობითა სწყდება, მიღებულ იქმნება ის აზრი, რომელსაც საზოგადო კრების თავმჯდომარე მიემხრობა.

შენიშვნა 1. საზოგადო კრებაზედ ყველა არჩევანები (§ 36 და 53), აგრეთვე წევრთა გარიცხვა, თანახმად § 21-ისა, დახურულის კენჭის ყრით სწარმოებს; დანარჩენს შემთხვევაში ხმის მიცემა იმ ნაირად სწარმოებს, როგორც მას საზოგადო კრება მოისურვებს.

შენიშვნა 2. საზოგადო კრების მიერ მიღებული წინადადება, რაიცა ამ §-ში აღნიშნულ პირობით უნდა სწარმოებდეს, როდესაც ეს წინადადება წესდების შევსებას ან შეცვლას შეეხება, მთავრობას უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად, თან უნდა ჩართული ჰქონდეს ყველა ის მოსაზრება და მიზეზი, რომელთაც წესდების შეცვლა, ან შევსება გამოიწვიეს.

§ 32. თუ რომ პირველად მოწვეულს საზოგადო კრებას, თანახმად ზემორე §-ისა, საჭირო წევრთა რიცხვი არ დაესწრება, რომ კრება კანონიერად ჩაითვალოს, მაშინ არა უადრეს ერთის კვირისა გამგეობა მეორე კრებას მოიწვევს, რომელიც კანონიერად უნდა ჩაითვალოს, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. ამისათვის გამგეობამ ადრევე უნდა აცნობოს ხოლმე წევრებს, რომ კრება მეორედ ინიშნება, გააფრთხილოს. მეორედ მოწვეულმა კრებამ მხოლოდ ის საგნები უნდა განიხილოს, რომლებიც პირველს კრებაზედ უნდა განეხილათ, ხოლო § 31 ში მოხსენებული საგნები საზოგადო კრების დამსწრე წევრთა $\frac{2}{3}$ უნდა გარდასწყვიტოს; საქმის გადაწყვეტა უბრალო ხმის უმეტესობით სდება. საზოგადო კრების მიერ მიღებული გარდაწყვეტილება ყველა დამსწრე და არა დამსწრე წევრთათვის ერთნაირად სავალდებულოა.

§ 33. ყოველივე საგანი, რომელიც საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს, აგრეთვე რომელისამე წევრის მიერ საზოგადო კრებაზედ განსახილველად წარდგენილი წინადადება, შვიდის დღით ადრე უნდა წარუდგინოს გამგეობას საზოგადო კრების დანიშნულ დღემდე. თუ რომ წინადადება წევრთა $\frac{1}{10}$ მიერ არის წარდგენილი, გამგეობა ვალდებულია იგი წინადადება თავისის განმარტებით მომავალს საზოგადო კრებას წარუდგინოს.

§ 34. საზოგადო კრებაზედ წესისა და რიგის დასაცველად და აგრეთვე საქმეების საწარმოებლად კრება დამსწრე წევრთა შორის თავმჯდომარესა და მდივანს ირჩევს. საზოგადო კრების თავმჯდომარის ამორჩევამდე კრების თავმჯდომარედ გამგეობის თავმჯდომარეა.

§ 35. საზოგადო კრების დადგენილებანი განაჩენში უნდა იქმნას ჩაწერილი, რომელიც სხდომების გათავების შემდეგ კრებას ხმა მაღლა უნდა წაუკითხონ და საზოგადო კრების თავმჯდომარემ, მდივანმა და გამგეობის ყველა დამსწრე წევრთ, ან ერთმა მესამედმა მაინც ხელი მოაწეროს.

(შემდეგი იქნება)

*) ყოველს ცალკე წესდებაში ნაჩვენები უნდა იყოს ამ §-ში აღნიშნულ რიცხვის მიხედვით საზოგადო კრების დამსწრე წევრთა საჭირო რაოდენობა.

# ახალი ამბავი

⁂ ქალაქის საბჭოს დადგენილებით დიდიხანია აკრძალულია დიდ მაღაზიებში ვაჭრობა კვირაობით. ავეჯის მაღაზიების პატრონები არ ემორჩილებიან ამ დადგენილებასა და კვირა-უქმე დღეს მაინც ვაჭრობენ. ამის გამო 11 კაცს ავეჯის მაღაზიების პატრონებს პირობა შეუკრავთ, კვირა დღეს ნურც მაღაზიებს გავაღებთ და ნურც გასასყიდად გავიტანთ ავეჯსაო. ვინც ამ პირობას დაარღვევს, მოვალეა ჯარიმა გადაიხადოს „ისლის“ თავშესაფარის სასარგებლოდ: პირველად 50 მ., მეორედ—100 მ. და მესამედ—150 მ. ამ პირობებზედ არ დასთანხმდა მხოლოდ ორი პატრონი ავეჯის მაღაზიისა: ვარძიგულოვი და ჩუგუნოვი.

⁂ ქალაქის გამგეობამ და საბჭოს აღმასრულებელმა კომისიამ განიხილა ცნობები შესახებ საკლავის ფასებისა და ჯერ-ჯერობით შესაძლებლად ვერ იცნო ნიხრის შეცვლა და დაადგინა ერთის კვირის შემდეგ კვლავ შეკრიბოს საჭირო ცნობები.

⁂ გაზეთი „Нов.“ ამბობს, რომ ძლიერ მალე გამოვა სავაჭრო—სამრეწველო რუკა კავკასიისა; რუკაზედ აღნიშნული იქმნება, სად რა მრეწველობა სწარმოებს. ეჭვი არ არის, რომ ამ გვარი რუკა ძლიერ სასარგებლო იქმნება სავაჭრო ფირმებისა და აგენტებისთვის.

⁂ გაზ. „კასპის“ სიტყვით, ბაქოს ოლქის სასამართლოს მიერ სტაროსელსკის მკვლელობაში დამნაშავედ ცნობილთ ტფილისის სამოსამართლო პალატისათვის მიუმართავთ თხოვნით, რომ მათი საქმე უთუოდ აქ იქმნეს გარჩეული. მომჩივარნი ამას იმითი ასაბუთებენ, რომ ამ საქმის თაობაზედ გამოწვეულნი მოწმენი ტფილისში უფრო დამოუკიდებლად იგრძნობენ თავს, ვიდრე ბაქოშიო.

⁂ სოფ. ნატოჩაო, (სენაკის მაზრა). 15 ივნისს დაუშვა კოკის-პირული წვიმა, რომელმაც გვარიანად დაალბო გამხმარი დედამიწა და სული მოუბრუნა გვალვისაგან შეწუხებულს ჰირნახულსა. წელს გვიან დაითესა ჩვენკენ ყანები და, რასაკვირველია, მოსავალსაც, წარსულ წლებთან შედარებით, ნაკლებს მოველით. ახლაც ბევრგან გაცხარებული ხვნა-თესვაა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ივნისის ნათესი ჯეჯილი ვერაფერს ხეირს დააყრის მხვნელ-მთესველსა. ამ ამბით ხალხი ძალიან შეწუხებულია და გაიძახიან: „წელს სიმშილი არ აგვცილდებაო“. ჭვავი უკვე მოიმკო, მაგრამ სიუხვე არაფერი არ ატყვია...

ოდესისს ვაზს ადგილ-ადგილ გვარიანად ასხია...

⁂ სად. რიონი. აქ ხშირად ერთი უწესოება ხდება; მოგზაური როდესაც ბილეთს იღებს, ხურდა ფულს უკან აღარ უბრუნებენ. აქა სჩივიან, ბილეთების მიმცემი სადგურის უფროსის თანაშემწეა, რომელიც იმდენხანს აჩერებს კაცს ხურდა ფულისათვის, რომ მესამედ დაჰკრავენ ხოლმე ზარს და მაშინ ვიღა დაეძებს ორ შაურს, ან ერთ აბაზს, ყველა მატარებელისაკენ გარბის, შემდეგ ვაგონში მოგზაურები ერთიმეორეს შესჩივიან: „მე ერთი შაური დამატოვებინა, მეც ერთი აბაზიო“. ბილეთების აღებაც აქ მისწრებაზედაა, რადგან ჟანდარმი არა სდგას კასსასთან. თუ ეს მართალია, სასურველია, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

⁂ სად. ქობულეთი. 23 ივნისს მე 176 ვერსზედ, როდესაც მგზავრი ალექსი ხატარაია მატარებელ № 65 გადმოხტა, მატარებლის ქვეშ მოჰყვა და მარცხენა ფეხი მოსწყვიტა.

⁂ გუშინ-წინ, 23 ივნისს, საღამოს 6 საათსა და 15 წამზედ, ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოხელე 25 წლის პოშკო თამამშევის სახლის დერეფანში შევიდა თურმე, რომელიც არტილერიის ქუჩისა და უსახელო ქუჩის შესახვევის კუთხეში იმყოფება. ქ-ნის მარცინკევიჩის ბინის კარებთან მივიდა და საფეთქელში რევოლვერი დაიცა. ბ-ნი პოშკო მაშინვე გარდაიცვალა. მკვდრის გვამთან სამი წერილი იპოვნეს. იგი მაშინვე მიხეილის საანატომიო მუზეუმში წაიღეს.

⁂ ფოთი. ჩვენში ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა ესრედ-წოდებული ლატარიები, ისე ქუჩას არ გაივლით, რომ წინ ორი ან სამი „ბარიშნა“ არ შეგხვდეთ და არ მოგაჩეჩოთ სია ხელის მოსაწერად. პირველად არაფრად ვაგდებდით ამას; გვეგონა თუ დღეს ასეა და ხვალ-კი დაწყნარდებიანო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! თითქოს ინფლუენციააო, ისე მოედო ჩვენის ქალაქის „ბარიშნებს“ ლატარის გამართვის სენი და დასასრული აღარ უჩანს. ეხლა ისღა დაგვრჩენია კაცებს, რომ ჩავიკეტოთ კარები და გარეთ აღარ გამოვიხედოთ. ბევრი ასეც მოიქცა, ქუჩებში ეხლა თითქმის მარტო ქალები-ღა დათარეშობენ „სალატარიო“ სიებით აღჭურვილნი.

## ქალაქის საბჭო

23 ივნისი.

კრება დაიწყო საღამოს ცხრა საათზედ.

წაკითხულ იქმნა იმ ხმოსანთა სახელი და გვარი, რომელნიც წარ-

და უსრულებია ღვთის-მსახურება. შემდეგ, როდესაც ეკკლესია დაძველებულა, იმაში დუშეთის მცხოვრები ოჰანეზ მანდენოვი დაუსაფლავებიათ აზნ. ყარანგოზიანთ ნება-რთვით, რომლებსაც თურმე ეკუთვნოდა ის მხარე ქედისა, სადაც ეკკლესიაა. ოჰანეზ მანდენოვის დასაფლავების შემდეგ სხვა სომხების დასაფლავებაც იქ დაუწყიათ და ამ გვარად ეკკლესიის გარეშემო ალაგი სომხების სასაფლაოდ გამხდარა. ამავე დროს წმ. გიორგის ეკკლესია გაუახლებიათ ოჰანეზ მანდენოვის მემკვიდრეებს და სურბ გეორქის სახელზედ უკურთხებიათ ტერტერებს. ბევრი მოხუცებულები, მათ შორის სომხებიც, ამბობენ, რომ ამ ეკკლესიის კედლების ქვევითი ნაწილი ქართველების ეკკლესის კედლებიაო. ამ გვარად გაუძევებიათ სომხებს წმ. გიორგის ეკკლესიიდგან ქართველები და მიუთვისებიათ ეს ეკკლესია, ხოლო ქართველებს ეკკლესიის მაგიერ ნაცარას ქედის მეორე მხარეზედ დაუშენებია ის ნიში ბოდავის წმ. გიორგისა, რომელიც ეხლა სადავოა.

თუმცა ბევრი დაუთმიათ ქართველებსა და ცოტას დაკმაყოფილებულან, მაგრამ ჩვენი ახირებული მოძმეების ხარბს თვალს ეს მცირეც დიდად მოსჩვენებია და თავიანთი ხარბი ხელი ამ მცირედისათვისაც წაუტანებიათ ქართველების იქიდგან გასაძევებლად. ყოველთვის, როდესაც ქართველი მღვდელი გიორგობას იქ მივიდოდა ლიტანიით, აუცვივდებოდნენ თურმე დუშელი სომხები, და აუტეხდნენ ჩხუბსა ასეთი საქმე დამართეს თურმე მღვდელს მალაქიას, რომლის გვარიც აქ აღარავის ახსოვს, მოლოდინსა, სავანელსა და კარიაულს. მღვდელს მოლოდინს, როგორც მომსწრეები ამბობენ, ეკკლესიის დროშანიც თურმე დაუმტვრიეს.

სხვა კერძო კაცთა გარდა, ყველა ამ საქმის მომსწრე მღვდელი ზაქარია კარიაული დღესაც ცოცხალია და თითონ იმასაც უსრულებია ღვთის-მსახურება ბოდავის წმ. გიორგის ნიშში. ურიგო არ იქნება, რომ ცოტა რამ ამ მომსწრეებსაც მოუსმინონ რუსულ-სომხურმა გაზეთებმა, რა-კი ამ სადავო ნიშის საქმე ასე სალაპარაკოდ და ყბად ასაღებად გახადეს. ეს გაზეთები მარტო იმასა სცდილობენ სხვებიც დააჯერონ, რაც დუშელის სომხებისთვის სასარგებლოა. ყოველის ღონის ძიებით მზად არიან სომხებისგან ქართველების საღმრთო უფლების შელახვა და მათი სიწმიდეს წართაცება ჩააფუჩეჩონ, ამასთანავე-კი ქართველებთან ძმობა-ერთობის შესახებ ლათაიებით აზავებენ თავიანთს სჯა-ბაასსა და გვარწმუნებენ, რომ ეს საქმე მარტო ამ ორის მოძმე ერის გადასამტერებლად არის აღძრულიო.

დაუბრუნდეთ ისევ ნიშის მითვისების საქმეს. ბოლოს ეს დაუსრულებელი შეტაკება და ჩხუბი ალბად მოჰბეზრდათ და ქართველის მღვდლებმა იქ ლიტანიით სიარულს თავი დაანებეს, სამაგიეროდ ამ ნიშში ახლა სომხის ტერტერებმა დაიწყეს ლიტანიით მისვლა და ნიში საბოლოოდ მონათლეს „სურბ გეორქად“. შემდეგ მოატანა 1887 წელმაც, როდესაც მოხდა დუშეთის გარეშემო ადგილების გამიჯვნა. გამიჯვნამდე ნაცარას ქედი სადუშეთო წრეში ყოფილა, ზოგი კერძო კაცების საკუთრებას შეადგენდა, ზოგიც სახაზინო ყოფილა კარიაულებისა და დიდებაშვილების სარგებლობაში, და ზოგიც ნიშისთვის ცალიერი ალაგი, ხოლო თითონ დუშეთს იქ საქალაქო ადგილი არა ჰქონია და არც არაფერი სომხის ეკკლესიას, ყარანგოზიანთგან სასაფლავოდ დათმობილ რამდენისამე დღიურ მიწის გარდა. მაგრამ დუშეთის ამორჩეულებმა ეს ორიოდე დღის სასაფლაო მიწა ერთს მშვენიერს დღეს 40—50 დღიურად აქციეს და დააკუთვნეს სომხის ეკკლესიას, ნიშიც ზედ მიაყოლეს, სახელმწიფო ადგილებიც და აზ. ყარანგოზიშვილისაგან ქ. დუშეთისთვის დათმობილი $7\frac{1}{2}$ დღიური მიწაც, სომხის სასაფლაოსა და ნიშის შუაზედ მდებარე. აი, სწორედ ამისთანა მოქმედებაზედ ითქმება: „სადაც არა ჰხნავს, იქა მკის; სად ნემსსაც არ შესდებს, იქიდგან სახნისს გამოიღებსო“.

საყურადღებოა ამ საქმეში დუშელის ამორჩეულების მოქმედებაც და თვითონ იმათი ამორჩევაც. გამიჯვნის დაწყების წინა დღეებში, 7 ივნისს 1887 წელს, როგორც ამ რიცხვში დადგენილ განაჩენიდგან სჩანს, დუშეთის მცხოვრებნი საზოგადო კრებასა ჰმართავენ, ან უკეთ რომ ვთქვათ, შეიყრება 26 სომეხი და ამოირჩევს სამს სომეხს: სტეფანე ელიკოვს, ივანე მარტიროზოვს და არტემ გულიევს, დუშეთის მიდამოების გამიჯვნის დროს დასასწრებად ქალაქის მხრივ. ამ სამმა ამორჩეულმა სომხებმა უჩვენეს მიწის მზომელს სურბ-გეორქის ეკკლესიის საკუთრებად წმინდა გიორგის ნიშიც, ყარანგოზიანთდგან დუშეთისთვის დათმობილი $7\frac{1}{2}$ დღიური მიწაც და ის ნაწილიც ნაცარას ქედისა, რომელიც ხაზინის საკუთრება იყო.

აქ კაცის ყურადღებას ძალა-უნებურად ის გარემოებაც იქცევს, რომ დუშეთის მცხოვრებთა რიცხვი 500 კომლზედ თუ მეტი არა, ნაკლები არ იქნება, ქართველები და სომხები, და ამოდენ მცხოვრებთაგანი მარტო ოც-და-ექვსი სომეხი იკრიბება და ირჩევს სამს სომეხს ვითომდა ქალაქის ინტერესების დასაცველად. როგორ მოხდა, რომ ან ამორჩეულებში და ან ამომრჩევლებში არც ერთი ქართველი არ მოჰყვა, რად იყო ეს საქმე რაღაცა საიდუმლოებით ისე მოცული, რომ ქართველებმა ეს მათთვის ახალი ამბავი მათის საღმრთო უფლების შელახვისა, მათის მამა-პაპის სიწმიდის მითვისებისა მხოლოდ მაშინ შეიტყეს, როცა საქმე გათავებული იყო და მაიგან შველა შესაძლებელი აღარ იყო-რა. სჩანს, სომხებს მაშინაც ძალიან კარგათა სცოდნიათ, ვინ იყო დუშეთში სომეხი და ვინ ქართველი, თუმცა მაშინ არც ბ-ნის ველიჩკოს ხსენება იყო ჩვენში და არც ის ვითომ-და წრეს გადასული მწერლები აწუხებდნენ სომხებს, რომლებიც ეხლა ეგრე გულსა სძმარავენ. როცა საქმე სახრავსა და გამოსარჩენზედ მიდგა, რად გაატანეს დუშელმა სომხებმა ქარს და რად მისცეს წყალს ქართველებთან ძმობა-ერთობა, რომელიც მათს მწერლებს ჩვენ დასაძინებელ ნანად გაუხდიათ, რად დაიბანინეს ხელი თავიანთ მამა პაპის „სიწმიდეზე“, ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ კრებებს არ დასწრებიან.

საბჭომ იმათის დაუსწრებლობის მიზეზი კანონიერად სცნო.

საბჭომ მოისმინა გამგეობისაგან შედგენილი და საფინანსო კომისიის მიერ განხილული პროექტი შიოვისეულის ქარვასლის შესახებ. ხსენებული ქარვასლა კარგა ხანია, რაც პოლიციამ გააუქმა, რადგანაც სიძველისა გამო შიგ დგომა ყოვლად შეუძლებელი იყო. გამგეობამ შეადგინა შემდეგ პროექტი, რომლითაც ხსენებული ქარვასლის შეკეთებას 20,000 მანეთი დასჭირდება. ამ საქმისათვის წინადვე გადადებული იყო 17,000 მანეთი, მაშასადამე 3000 მანეთი-ღა აკლია, რომელიც გამგეობამ დაადგინა ისესხოს და ან ქარვასლის დაგირავებით აიღოს. საფინანსო კომისიამ, განიხილა რა ხსენებული პროექტი, მოიწონა იგი, ხოლო 3,000 მანეთის შესახებ დაადგინა, ისესხოს იგი მაშინ, როდესაც საჭიროება მოითხოვს.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ეს პროექტი. შემდეგ წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება გადამდები სენით ავადმყოფთათვის მეორე საავადმყოფოს აგების შესახებ. პირველი უკვე არსებობს, რომელშიაც 14 საწოლია. საბჭომ, როდესაც პირველი საავადმყოფოს დაარსებას აპირებდნენ, მაშინვე დაადგინა, დაარსდეს იგი 30 საწოლით. ხოლო რადგან გამგეობას ამისათვის საკმაო ფული არა ჰქონდა, მარტო თოთხმეტის ავადმყოფის ათვის დააარსა და ეხლა დანარჩენისათვის ცალკე საავადმყოფოს დაარსებას და ამასთანავე მარტო გადამდებ სენით ავადმყოფთათვის აპირობს.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება.

საბჭომ მოისმინა გამგეობისავე მოხსენება ქალაქის სასარგებლოდ სახლის ქირის კვალობაზედ დადებულ გარდასახადის შესახებ. ცოტაოდენის კამათის შემდეგ, ხსენებულის მოხსენების განხილვა გადადებულ იქმნა, რადგანაც საგანი მეტად რთულია და იმის განხილვა და გამოკვლევა მეტს დროს და დაკვირვებას მოითხოვს. წარმოითქვა, სხვათაშორის, ის აზრი, რომ თუ ეს გადასახადი დაწესდა, მაშინ სახლის დამქირავებლებს, რომელთაც გარდასახადი დაედებათ, ამომრჩეველთა უფლებანი უნდა მიენიჭოსო.

შემდეგ საბჭომ მოისმინა ქალაქის თავის აღმასრულებელის წინადადება რუსეთში ექიმთა და გეოლოგთა საერთა შორისო კრების შესახებ. რადგანაც ამ კრების შემდეგ იქ დამსწრე ექიმნი და გეოლოგნი რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში აპირებენ მგზავრობას სამეცნიერო აზრით და, სხვათა შორის, ჩვენს ქვეყანასაც ეწვევიან, კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოება შეჰკითხებია ქალაქის გამგეობას, ხომ არაფერს ზომებს მიიღებს იგი იმათდა დასახვედრად და პატივსაცემად. გამგეობამ მოილაპარაკა ამ საგნის შესახებ და დაადგინა გადასდოს 1,500 მანეთი, ხოლო საფინანსო კომისიამ, განიხილა რა გამგეობის დადგენილება, თავისის მხრივ გადასწყვიტა, ამ საქმისათვის განსაზღვრული თანხა არ გადასდოს, ხოლო მიენდოს ქალაქის თავის აღმასრულებელს და დახარჯოს ამ საქმისთვის იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება.

ამ საგანმა დიდი კამათი გამოიწვია ხმოსანთა შორის. ყველა იმ აზრისაა, რომ საჭიროა მეცნიერნი დიდის პატივისცემითა და ყურადღებით იქმნან მიღებულნი, რაც შეეხება ფულს, ეხლავე გადაიდოს იგიო.

საბჭომ გადასწყვიტა გადასდოს ამ საქმისათვის 1500 მანეთი. ამასთანავე დაადგინა მიენდოს ქალაქის თავის აღმასრულებელს აარჩიოს ხმოსანთაგან რამდენ კაცსაც მოისურვებს და იმათთან ერთად მიიღოს, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, უცხო სტუმარნი.

შემდეგ წაკითხულ იქმნა საურთიერთო დამზღვევის საზოგადოების გამგეობის 1897 წლის ხარჯთ-აღარიცხვა. გამგეობას, განუხილავს რა ხარჯთ-აღრიცხვა, მოუწონებია და სთხოვს საბჭოს დაამტკიცოს. სხვათა შორის ხარჯთ-აღრიცხვაში გადადებულია ფული ბუხგალტერის თანაშემწესი ახალის თანამდებობის დასაწესებლად. წინად მარტო ერთი ბუხგალტერი ჰყავდა საზოგადოებას, მაგრამ ეხლა, გამგეობის სიტყვით, ის ველარ ასდის აუარებელს საქმეს და საჭიროა, რომ თანაშემწე მოემატოსო.

ბოლო საბჭომ არ მიიღო ეს წინადადება და ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა მხოლოდ ამ ბუხგალტერიის თანაშემწისათვის გადადებული ფულის გამოკლებით.

წაკითხულ იქმნა თხოვნები ქუჩების განათების იჯარადარის ფარსამოვის ჯარიმის 139 მან. პატიების შესახებ და გუსეინ-ბექ სამედ-ბეკოვისა გამგეობის მიერ დახმარების აღმოჩენის შესახებ. გამგეობამ თავის მხრივ არ შეიწყნარა ფარსამოვის და სამედ ბეკოვის თხოვნები და საბჭომაც დაამტკიცა გამგეობის დადგენილება.

შემდეგ კენჭის ყრით საბჭომ აარჩია ქალაქის ცეცხლისაგან დამზღვევ საურთიერთო საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრად თავადი პავლე მიხეილის ძე არღუთინსკი-დოლგორუკი.

არჩეულ იქმნენ აგრეთვე სხვა კამისიის წევრნიც.

კრება დაიშალა ღამის $11^1/_2$ საათზედ. შემოდგომამდის ქალაქის საბჭოს კრება აღარ ექმნება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ჩოხატაური.**—ვინ ამბობს, გურულები ნიჭიერი, მოხერხებული და მიხვედრილი ხალხია; მაგრამ არ ვიცით კი ეს ნიჭი, ეს მოხერხებულება და მიხვედრილება ღირსებად უნდა ჩაგვეთვალოს თუ ნაკლად და უბედურებად. არ ვიცი, მომავალი რას იტყვის. ხოლო დღეს-კი ისეთს რამეებში იჩენს თავს ეს გურულის ნიჭი, მოხერხებამ და უნარიანობამ, რომ თამამად შეგვიძლიან ვინატროთ, ნეტავი არც ერთი, არც მეორე და არც მესამე ჩვენს ხალხს არა ჰქონოდა. დაბა ჩოხატაური მაინც სხვაზედ ნიჭიერი, სხვაზედ მოხერხებული და სხვაზედ უფრო უნარიანი აღმოჩნდა მთელს გურიაში და გაბედულობა აქაურ ვაჭრებისა ხომ საზღაპროა. ამ ბოლო დროს რაღაც ნაირად აქაურ ვაჭრების დავთრებმა ძალიან დიდი ნახტომი დაიწყო და ზარდობა-გამრავლებაც სწრაფი აქვთ. 20 მანეთის ნისია დავთარში 120 მანეთად იქცევა, 30—130, 50—150 მანეთად, ეს კიდევ მაგდენად გასაკვირველი არ არის, მაგრამ 4 მანეთი რომ 400 იქცეს რაღაც თხუთმეტის დღის განმავლობაში, ეს კი სასწაულია სწორედ, სასწაული! ძნელად დასაჯერებელია ხომ, მკითხველო, ასეთი მალაყები მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს! მაგრამ ეს ასეა და მთელის ჩოხატაურის მცხოვრებნი ისე ცხადად არიან დაჯერებულნი ამას, როგორც ცხადად იციან ყოველივე ეს თვით მათმა აქტორებმა—„მალაყისტებმა“. ვის არ შესტირიან და შესჩივიან საცოდავნი მსხვერპლნი „მალაყისტების“ ოინების: ბოქაულს, მსაჯულს, ექიმს, ყველას, ყველას სთხოვენ დახმარებას მაგრამ დახმარება არ შეიძლება. თვით მსაჯული ღრმად დარწმუნებულია „მალაყისტების“ მალაყებს, იძულებულია საქმე მაინც მათ სასარგებლოდ გადასწყვიტოს, რადგანაც ფორმალურად „მალაყისტებს“ მალაყები უნაკლულოდ აქვთ მოწყობილი.—მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, სიავეში სიკეთეც გამოსჭვივის. აქაც, ამ მალაყებშიაც არის ცოტაოდენი სიკეთე: ასეთის მაგალითების შემდეგ ხალხი გულუბრყვილობაზე ხელს აიღებს, დასავლავ ცხვარსავით „მალაყისტებს“ აღარ ჩაუვარდება ხელში, მეტის რიდითა და შიშით მოეკიდება იმათ დამღუპველ დავთრებს და ყოველს ქაღალდზედ ხელს არ მოუწერენ. ვაჭრების ასეთმა დაუნდობლობამ იქნება გამოაღვიძოს და გამოაფხიზლოს ხალხი. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ კი ჩვენი „მალაყისტებიც“ სასარგებლო ელემენტი შეიქნება. ერთი რუსული ანდაზისა არ იყოს, На то щука въ водѣ, чтобы карась не дремалъ. ასეა თუ ისე, დღეს მთელის ჩოხატაურის საზოგადოება აღელვებულია, „მალაყისტების“ საზიზღარის საქციელით, მაგრამ თითონ ისინი ყაინშიაც არ აგდებენ. განა რისამე შერცხვებათ თუ?!

ერთში არიან კიდევ ძლიერ უოხაღნი ჩოხატაურელნი: კეტით, ქვით და ჯოხებით დასდევენ და ირეკვენ ყოველსავე გონების მოძრაობას. ძლიერ ფხიზლად დარაჯობენ, არსიდგან არ შემოეპაროთ დაბაში ან გაზეთ-ჟურნალები, ან წიგნები. თუ გაჩნდა სადმე, „ჰკა, მაგასაო!“ დასძახებენ და კუდით ქვას ასროლინებენ. ორად-ორი ნომერი მოსდის მთელს დაბას გაზეთებისა; წიგნთ საცავიც მიჰკეტეს. მე შენ გითხრა, უგვალავრით გაშენებულს და განათლებულ ასკანასთან არ გამოჩნს თავი ბინძურმა ჩოხატაურმა!!

ეს ერთი და სხვა ათასი!

## სოფ. ბრილის გლეხთა საქმე.

—

1884 წ. გორის მაზრის ს. ბრილს თავადის ნ. დიასამიძის მამულს რომ ჰმიჯნავდნენ, თავადმა დიასამიძემ კანონიერის უფლებით თურმე ისარგებლა და საგლეხო დაწესებულებათ განუცხადა: რადგანაც სათავადო და საგლეხო მიწები ერთმანეთში არეულია და საზარალოა, როგორც თავადისა, ისე გლეხებისათვის, სამჯობინოა გლეხების „ნადელები“ სულ განცალკევებულად იყვნენო. თავადის ნ. დიასამიძის განცხადება ყველამ თურმე მიიღო იმ ჟამად და ადგილობრივმა მომრიგებელმა შუამავალმაც ასეთი გარდაწყვეტილება დაადგინა.

გლეხებმა ბოლოს აღარ ისურვეს მამულების ასე განცალკევება და საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრე-

ქედზედ ხომ არამც თუ წმ. გიორგის ნიშისა, სურბ-გეორქისა, „სურბ-კარაპეტისა“, „სურბ-სარქისისა“ და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვა „სურბის“ ნიშის მოთავსებაა შესაძლებელი, რად მიითვისეს მთლად ეს ალაგი, როცა იმათ არ ეკუთვნოდა, და რად გააძევეს იქიდგან ქართველები, ან ნუთუ აზ. ყარანგოზიშვილებსაც მადლობა ამით გარდაუხადეს სასაფლაოს ადგილის მუქთად დათმობისათვის, რომ მათგან ქალაქისთვის დათმობილი $7^1/_2$ დღიური მიწაც ქალაქს გამოსწირეს და თავიანთ ეკკლესიას დაუსაკუთრეს?

გამიჯვნის დროს მარტო სოფელ დიდებაანთ კარელების ამორჩეულს ზაქარა დიდებაშვილს გაუბედნია მიწის მზომელთან იმის თქმა, რომ, სასაფლაოს გარდა, ამ ქედზედ სომხებისა და მათის ეკკლესიისა არაფერიაო, და უჩვენებია ყველა ის მიწები, რაც კერძო კაცებისა ყოფილა ან ნიშისა და ან ხაზინისა, მაგრამ საწყალის დიდებაშვილისთვის ეს გაბედულება ძვირად დაუსვამთ სომეხ ამორჩეულებს. თურმე სწვდნენ ყანყრატოში და იმდენი სცემეს, რომ ერთს მათგანს, მარტიროზოვს, ცემისაგან გულ-შეღონებული დიდებაშვილი ძლივს თურმე გამოჰგლიჯეს ხელიდგან. ამას ხუთიოდე სიტყვით მოგვითხრობს მიწის მზომელისაგან 1887 წელს ივნისის 19-ში შედგენილი ოქმი, რომლის პირი დიდებაშვილისთვის მიუცია და უთქვამს: „წადი, სამართალში უჩივლეო“.

გამიჯვნა ამგვარად დასრულებულა და ქედი სადაოდ დარჩენილა სომხის ეკკლესიასა და ხაზინის შორის, ხოლო როგორც საქმიდანა სჩანს, სომხებს ბედი ამ დავის წარმოების დროსაც ისევე სწყალობდა, როგორც გამიჯვნის დროს. როცა ოლქის სასამართლომ საქმის ადგილობრივ გამოსარკვევად და მოწმების საკითხავად ოლქის სასამართლოს წევრი გამოჰგზავნა, ხაზინის მხრივ აგენტი ბ ნი ყანჩელი არ დაესწრო და ეს დაავალა მაშინდელს დუშეთის ტყის მცველს ბ-ნს ბებუთოვს, რომლის მოქმედება ამ საქმეში მოაგონებს კაცს რუსულს ანდაზას: „после ужина горчица“. როგორც საქმიდგანა სჩანს, ბ-ნი ბებუთოვი სწორედ იმ დროს გამოკვარახჭინებულა ოლქის სასამართლოს წევრის წინაშე ხაზინის „ინტერესების დასაცველად“, როცა აღარავითარი დაცვა შესაძლებელი არა ყოფილა და ოლქის სასამართლოს წევრს ლოდინის შემდეგ არამც თუ კიდეც გაუთავებია საქმის გამოკვლევა, ქალაქში დასაბრუნებლად ბარგი და ქაღალდებიც-კი ჩალაგებული ჰქონია.

დასასრულ ორიოდე სიტყვა უნდა ვუძღვნა ამავე საგნის შესახებ „Тиф. листокъ“-ის 135 №-ში დაბეჭდილს წერილს, რომლის ავტორიც არწმუნებს საზოგადოებას, რომ სადაო ნიში სომხებს მღ. სავანელის ნებართვით აუშენებია, ეს ნიში მათ არარაობისგან ააყვავეს, ტყე გააშენეს და ხრიოკი საუკეთესო ადგილად შეჰქმნეს, რისთვისაც, საყვედურისა-კი არა, მადლობის ღირსი არიანო, ამავე დროს ქართველებმა-კი, ჩვენდა სამარცხვინოდ (სჩანს კორესპონდენციის ავტორი ქართველია), იქვე ახლო მდებარე უფრო უკეთესი და უფრო მშვენიერი წმ. კვირიკეს გორა აოხრეს, ტყე გადაკაფეს და ნიშიც უწმინდურებით სავსეაო. არას ვიტყვი იმის შესახებ, რომ ცნობილი დუშელი თანამშრომელი „Листокъ“-ისა არც ამ საქმეში ჰკარგავს შემთხვევას „მოწიწებითა შორით შორს ჩვეულებრივი კომპლიმენტი ჰკადროს სომხებს, აქოს, ადიდოს, ქართველების გამოლანძღვით და ძაგებით ასიამოვნოს. აღვნიშნავ მარტო იმას, თუ რამდენად ფეხ-მოკლეა მისგან დუშელი ქართველების დასამცირებლად ნათქვამი სიცრუე. ჯერ ერთი, თუ ქართველების ნიში არ იყო, მღვდლის სავანელის ნებართვა რაღად დასჭირდათ სომხებს, რომ ნიში აეგოთ, რით ასაბუთებენ ამ ნება-რთვას, ან რა უფლება ჰქონდა მღვდელს სავანელს, რომ ქართველების სიწმიდე სომხებისთვის ებოძებინა.

სადაო ნიში მართლაც რომ არარაობისგან აეყვავებინათ სომხებს და ის ტყე, რაც იქაა, ბუნებრივ ამოსული-კი არა, სომხების გაშენებულიც რომ ყოფილიყო, მაინც კიდევ საკვირველი არ იქნებოდა, რადგან სომხებმა არარაობისაგან სხვა უფრო მეტი სასწაული მოახდინეს—2—3 დღიური მიწა ერთს დღეს 30—40 დღიურად აქციეს.

წმ. კვირიკეს ნიში სრულიადაც არ არის იმ მდგომარეობაში, როგორც მას „Листокъ“-ის თანამშრომელი აგვიწერს; ამ ნიშის გარშემო ის ასწლოვანი ხეები, რომლებიც „Листокъ“-ის თანამშრომელმა ერთის კალმის მოსმით გასჩეხა ქართველების დასამცირებლად და სომხების საქებ-სადიდებლად, დღესაც მშვიდობიანადა სდგანს იქვე, კვლავ იზიდავს გამვლელ-გამომვლელის ყურადღებას და თვით „სურბ გეორქის“ წვრილმანი ტყე ამ ასწლოვან ხეებს, წმ. კვირიკეს ნიშის გარშემო მდგომს, თითქოს შურის თვალით შეჰყურებს ქვეიდგან, მაგრამ მაგარი ესაა, რომ დუშელ ქართველებს არც წმ. კვირიკეს ტყის დაცვისათვის ეთქმით მადლობა და ქება და არც გაკაფვისათვის ეთქმოდათ საყვედური, რადგან დუშეთიდგან ეს ნიში საკმაოდ შორს არის (ახლოს რომ ყოფილიყო, ხომ ვერც ეს გადაურჩებოდა სომხებისგან მითვისებას) და ეკუთვნის, დუშელებს-კი არა, ყვავილის მრევლს. ხოლო თითონ ტყე ამ გორისა ხაზინის ტყის მცველის ხელშია და არა დუშელების ხელში.

თითონ წმ. კვირიკეს ნიში ყვავილის მღვდლის მამა იოანნე კეზელის გამგეობაშია. ვთქვათ იმ ნიშის ტყეც გაკაფეს და ნიშსაც უწმინდურად ინახავენ, მერე აქ დუშელი ქართველები რა შუაში არიან? განა თითონ ეს პატივცემული მოძღვარი ისეთი შორეული და უცნობია „Листокъ“-ის თანამშრომელისა, რომ არ შეეძლოს თითონ მოძღვარს გაახსენოს მისი ზნეობრივი და საღმრთო მოვალეობა ნიშის შესახებ და მისგან ამ მოვალეობის აუსრულებლობა სრულიად უსაბუთოდ არ გადააბრალოს და საქვეყნოდ არ უკიჟინოს დუშელ ქართველობას? მაგრამ საქმე იმაშია, რომ „ლისტოკის“ თანამშრომელი სომხებს ამით ვერ ასიამოვნებდა და იმისის ასეთის საქციელის მიზეზიც ეს უნდა იყოს.

დუშელი ქართველი

ბულის საჩივარი წარუდგინეს მომრიგებელ მოსამართლის დადგენილების შესახებ. როგორც საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულომ, ისე უმართებულესმა სენატმაც არ შეიწყნარა ბრილელების ნაფიც ვექილთა საჩივარი და ძველი დადგენილება კანონიერად სცნო, რაიცა მომრიგებელმა შუამავალმა და პოლიციამ მაშინვე აცნობეს გლეხებს.

ამის შემდეგ თითქოს ყველაფერი უნდა გათავებულიყო, ხალხი დამშვიდებულიყო, მაგრამ საქმე ასე არ დაბოლოვდა: ბრილელების უკმაყოფილებამ ფესვი ღრმად გაიდგა და როგორც თავადისა, ისე გლეხთა დაწესებულებათაგან დაჩაგრულად სთვლიდნენ თავს. დღემდის ბრილელები ძველბურად სარგებლობენ ტყითა, თუ მიწით. არავითარმა რჩევა დარიგებამ არ იმოქმედა; გლეხების ასეთმა ჯიუტობამ მთავრობას სასტიკი საშუალებანი ახმარებინა. საქმის მოთავეები პატიმართა როტებში გაგზავნეს, 14-მდე კაცი ციხეში ჩასვეს, ხოლო 1889 წ. სოფელს ეგზეკუცია ჩაუყენეს.

ეგზეკუციამ ბრილელებს ბევრი ზარალი მისცა და 8 წელიწადს მშვიდობიანად იყვნენ. მაგრამ გლეხთა და მემამულეს შორის დაფარულმა სიძულილმა შარშან კიდევ თავი იჩინა. გლეხებმა კვლავ ხმა აიმაღლეს და მოჰყვნენ ჩივილს, რომ სათავადო მამულების შემუშავება მეტად სამძიმოა, ისევ ძველის წესით უნდა ვისარგებლოთ ტყითაცა და სახნავ მიწებითაცო. ხშირად ამისი მიზეზი ისიც იყო, რომ მემამულე ხან უკლებდა ღალას, ხან უმატებდა.

თავ. ნ. დიასამიძის საჩივრისა გამო ამ წელს გორის მაზრის უფროსის უფროსმა თანაშემწემ პორუჩიკმა არნოლდმა საქმე გამოიძია და აღმოჩნდა, რომ გლეხები 1884 წ. მიზომილს „ნადელებზედ“ უარს ამბობენ და ყოველივე უკმაყოფილება გლეხების მხრივ უსაფუძვლოა. არნოლდის გამოძიების შემდეგ გორის მაზრის უფროსმა გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა დაიწყო, რომ რაიმე სასტიკი საშუალება ეხმარათ და ბრილელების ჯიუტობისათვის ბოლო მოეღოთ. სხვათა შორის, მაზრის უფროსმა ითხოვა, რომ ოთხი საქმის მოთავე მათის საცხოვრებელ სამშობლო ქვეყნიდგან გადაესახლებინათ.

ეს საქმე საგუბერნიო საკრებულოს უკანასკნელს სხდომაზედ იქმნა გარჩეული და დაადგინეს, რომ ვიდრე რაიმე უკიდურესსა და სასტიკს საშუალებას ეხმარდეს მთავრობა, ერთხელ კიდევ გაჰგზავნოს საქმის გამოსაძიებლადა და მშვიდობიანად დასასრულებლად წევრი საკრებულოსი თავ. აბაშიძე. თუ საქმე ახლაც არ გადაწყდა, მთავრობა უთუოდ სასტიკს ადმინისტრატიულს საშუალებას იხმარს.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„ცნობის ფურცლის“ გუშინდელს №-ში შემდეგი წერილია ბ-ნის აკაკისა:

„ცნობის ფურცლის“ მე-233 №-ში მოყვანილია ახალ ამბავ სხვათა შორის: „ხმა დადის რომ, „კვალის“ რედაქციამ წინადადება მისცა აკაკის, „კრებულისა“ და „კვალის“ რედაქცია ერთად შევაერთოთო“. ეს ცნობა მოკლებულია სიმართლეს: მე, ამ შემთხვევაში, არც შესაერთებელი და არც გამოსაყოფი არავისთან არა მაქვს-რა! რაც უნდა ჭკვიანობდნენ ზოგიერთებმა, ჩემი „კრებული“ თავის თავად გამოვა პირობისამებრ. ღვთის მადლით, ამისი საკუთარი შეძლებაც მაქვს და ძალ-ღონეც. სახვეწარი და საქვეშ ქვეშო არავისთან არა მქონია რა ჩემს სიცოცხლეში და არც აწ მექმნება, იმედია. უმადური იყოს, ვინც ან მეგობრობით, ან მოყვრობითა და ან ჩემი პირადი პატივისცემისთვის გამოიწეროს ის „კრებული“, რადგანაც ჩვენ ნამადვილად არა გვინდა-რა!.. თუ „კრებული“ თავის თავად საინტერესო ვერ იქმნება მკითხველისთვის და სიამოვნებითაც არ გამოაწერინებს თავს, მაშინ მისი აღარც წაკითხვა ეღირება და აღარც გამოცემა“.

---

## უცხოეთი

—

**ინდოეთი.** როგორც გაზეთებიდგანა სჩანს, ინდოეთში დიდი არეულება და უკმაყოფილებაა ინგლისის წინააღმდეგ. ბევრი იმასაც ამტკიცებს, რომ ახლო მომავალში შეიძლობა ამბოხებაც მოხდესო. ხალხი კარგა ხანია თურმე უკმაყოფილოა ინგლისის მთავრობისა, ხოლო ამ ბოლოს დრომდე გაჩუმებული იყო, რადგანაც ხსნას იმისაგანვე მოელოდა. მაგრამ დედოფალი ვიქტორიის იუბილეიმ და აუარებელმა ფულმა, რომელიც იმაზე იქმნა დახარჯული, აშკარად დაარწმუნა ისინი, რომ ინგლისს თავისს თავის მეტი არავინ აგონდება. 300 მილიონი ხალხი შიმშილით იხოცება მაშინ, როდესაც ინგლისში მილიონები უსარგებლო დღესასწაულებზედ იხარჯება. აი, სწორედ ეს არის იმათის უკმაყოფილების მიზეზი. ესეც რომ არა ყოფილიყო, ინდოელნი იმდენად შევიწროებულნი არიან, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც წინააღმდეგობას გაუწევდნენ გაბატონებულ ინგლისელებს. ინდოეთში ამ ჟამად სამასი მილიონი მცხოვრებელია. ყველას გაუგონია ინდოეთის სამდიდრე და მართლაც ამ მხრივ იმას არც ერთი ქვეყანა არ შეედრება, მაგრამ ხალხი მაინც ღარიბია და შიმშილისაგან იხოცება. ამის მიზეზი კი ინგლისელები არიან. ინდოეთის სიმდიდრეს ისინი დაჰპატრონებიან და, როგორც თვითონა ჰსურთ, ისე განაგებენ. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს ინდოელნი ძალიან გაჭირვებაში ჩავარდნენ, შიმშილი და შავი ჭირი ერთსა და იმავე დროს მიადგათ კარზედ და ისე დღე არ გავიდოდა, რომ რამდენიმე ათასი სული არ გამგზავრებულიყო საიქიოს. რასაკვირველია, ასეთი პირობები ხალხს ნება-უნებურად აალელვებს და ხმას ამოაღებინებს იმათ წინააღმდეგ, ვინც სიმდიდრეს თავისაკენ მიეხვეჭება. ჯერ-ჯერობით, მართალია, ბევრი არაფერი მომხდარა ინდოეთში, მხოლოდ მთავრობის რამდენიმე მოხელე მოჰკლეს, მაგრამ, როგორც გაზეთები ამბობენ, საქმე ამითი არ გათავდება. ასეა თუ ისე, ამ გარემოებამ ინგლისის გაზეთები ერთხმად აალაპარაკა და ათასგვარ რჩევა და მოსაზრება გამოათქმევინა ამ საგნის შესახებ.

აი, მაგალითად, ერთი გაზეთი რას ამბობს: „უწესოება ინდოეთში დღითი-დღე ჰმატულობს. დროა ლორდ ჯორჯ გამილტონმა, (ინდოეთის მთავარ-გამგებელია) გაახილოს თვალები და დაინახოს, რომ ინდოეთში, რაღაც არა ჩვეულებრივი ამბები ხდება. ის არ უნდა დასდგომოდა იმ გზას, რა გზასაც იმის მოწინავენი ადგნენ, და ვალდებული იყო ყოველივე ეს სათავეშივე მოესპო. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ იუბილეის დროს სისხლი დაიღვრება, მაგრამ ეგ ერთად ერთი საშუალებაა საქმის გამოსაკეთებლად და ამიტომ ეხლავე უნდა მოვემზადნეთ“.

გაზ. „Berl. Tageb.“ კორესპონდენტისთვის უთქვამს ერთს ინდოელს: „ჩვენ მეტად კეთილი ხალხი ვართ. ჩვენთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის გამგებელნი, მხოლოდ სიმართლით მოგვექცნენ. ინგლისი-კი სხვა გზას ადგა. ინგლისმა აღარაფერი შეგვარჩინა, უკანასკნელი სისხლი გამოგვწოვა და ეხლა უნუგეშოდ შევყურებთ ცას. ყველა ამას ამბოხება მოსდევს. ხალხი უკვე მომზადებულია ამისათვის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ინდოეთი ინგლისის ჯარით არის ავსებული. ისიც ვიცით, რომ ამბოხების დროს ინდოეთს აუარებელი ყუმბარა მოაწყდება, მაგრამ სამასი მილიონი ხალხის ჭეშმარიტი მოთხოვნილება და სურვილი ბოლოს მაინც გაიმარჯვებსო“.

აი, ასეა დღეს ინდოეთის საქმე და ინგლისს ძალიან მეცადინეობა დასჭირდება, რომ ხალხი დააწყნაროს და უწინდებური მშვიდობიანობა დაამყაროს.

---

## დამაკვირდი

დიდხანს საწოლში დარჩენა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვინც ამ ქვეყნად არაფრისთვის არის გამოსადეგი.

პიერემონტი

* * *

იმიტომ-კი არ შეგიყვარებენ, რომ ღირსი ხარ სიყვარულისა; სიყვარულის ღირსი იქნები იმიტომ, რომ უყვარხართ.

ბიორნე

* * *

ძილი შუადღისას იმ სანთელსა ჰგავს, რომელიც დღით ანთია.

პაპოლი

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟში იბეჭდება ახალი გაზეთი, რომელსაც სახელად ეწოდება „Journal des mendiants“ ე. ი. „გაზეთი მათხოვრებისთვის.“ გაზეთი ყოველ დღე გამოდის. ამ გაზეთში იბეჭდება დაწვრილებით, თითოეულ დღეს სად რა დღესასწაულია. განსაკუთრებულ ყურადღებას გაზეთი აქცევს იმ დღესასწაულებს, რომლებსაც მდიდარი კაცები ჰმართავენ. გაზეთის ერთს სვეტში იბეჭდება ადრესები ქველმოქმედთ კაცთა და იქვე მოხსენებულია, რა დროს შეიძლება იმათი ნახვა. ეს გაზეთი ჰბეჭდავს აგრეთვე მათხოვრებისათვის სხვა-და-სხვა გამოსადეგ ცნობებს: როგორ უნდა ითხოვოს კაცმა მოწყალება და სხვ. ამ ახირებულ გაზეთს თურმე ძლიერ ბევრი ჰყავს ხელის მომწერი.

* * *

შვეციის მეფემ ოსკარმა შემდეგის სიტყვებით მიჰმართა ამას წინად ლუნდის უნივერსიტეტის სტუდენტებს: მე დიდს მნიშვნელობას ვაწერ ბავშვის აღზრდას. ჩემის აზრით, უფრო საჭირო არის ბავშვი მიაჩვიოთ ფიქრს და ჩაუნერგოთ სიყვარული ცოდნისა, ვიდრე მრავალი სხვა-და-სხვა ცოდნა მიანიჭოთ. კეთილი აღმზრდელი მუდამ უყვარს ბავშვსა, სულელი და თავ-მოსაბეზრებელი მასწავლებელი-კი მარტო ეჯავრებათ და ხშირად დასცინიან ხოლმე. სამღთო წერილის იმ გვარი სწავლება, რომ ესა და ეს სიტყვა და ლოცვა გაიზეპირეო, იმ გვარადვე სასარგებლოა, რომ ზანგს დაბადება მიაჩეჩოთ ხელში და იმედი გქონდეთ, ამით გაქრისტიანდებაო.

შემდეგ მეფემა სთქვა: მე ძლიერ მოხარული ვარ, რომ შვეციაში ახალგაზდობაზედ ნაკლები ჩივილი ისმის, ვიდრე სხვა სახელმწიფოში, აგრედვე ჩვენს სტუდენტებს გაცილებით ნაკლებად ემდურებიან, ვიდრე სხვაგან, დასასრულ მეფემ ოსკარმა სთქვა: მხოლოდ კარგსა და მუყაითს აღზრდას ბავშვებისას და მედგარ ცდას, რომ ახალგაზდობა მიეჩვიოს ფიქრსა და თვით-განვითარებას, აქვს დიდი მნიშვნელობა. დანარჩენი—მხოლოდ გარეგანი ცოდნაა, ეგზამენებისთვის საჭირო და მეტი არაფერი.

* * *

ერთს ჟურნალში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ფლოტის რაოდენობის შესახებ.

ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ინგლისსა აქვს 38 დიდი ჯავშნიანი ხომალდი და 118 კრეისერი.

საფრანგეთსა აქვს 25 ჯავშნიანი ხომალდი და 45 კრეისერი, სულ 70 სამხედრო გემი.

რუსეთს—17 ჯავშნიანი გემი და 12 კრეისერი, სულ 29.

იტალიას—ჯავშნიანი გემი 9 და 10 კრეისერი, სულ 19.

გერმანიას—14 ჯავშნიანი გემი და 14 კრეისერი, სულ 28.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 ივნისი.

**პეტერბურგი.** 23 ივნისს ახალი პეტერგოფიდგან მობრძანდნენ პეტერბურგში საიმპერატორო გემით. «ალექსანდრიათი» სიამის მეფე, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე, პრინცები სევასტი და შირა და მეფის ამალა. პეტერბურგში მყოფობის დროს დაათვალიერეს პეტრე-პავლეს სობორო, ზამთრის სასახლე, ერმიტაჟი. საუზმის შემდეგ სასახლეში სიამის მეფემ მიიღო უცხო სახელმწიფოთა სადიპლომატო კორპუსი. 5 საათზე სტუმრები ახალ პეტერგოფში წაბრძანდნენ.

**ტრავემინდე.** იმპერატორი «გოგენცოლლერის» გემით წავიდა სამოგზაუროდ ჩრდილოეთის ზღვებში.

**კონსტანტინეპოლი.** ის ხმა, რომ ვითომც ელჩებს შორის უთანხმოებაა, სიმართლესა მოკლებული. მოლაპარაკების დაგვიანება ოსმალების ბრალია. თუმცა ილდიზ-კიოსკში დარწმუნებულნი არიან, რომ სახელმწიფონი არ გადაუხვევენ ერთხელ უკვე შემუშავებულ ზავის პირობებს, მაინც ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ იმათთვის სასარგებლო პირობები იქმნას დადებული. ასე იქცევიან, უმთავრესად, იმიტომ, რომ მაჰმადიანებს დაუმტკიცონ, ვითომც ყოველი ღონე ვიღონეთ გამარცვებიდგან მეტი სახელი გამოგვეტანაო.

**პარიჟი.** პალატა. განოტომ წაიკითხა პროექტი ფორის რუსეთში გამგზავრებისათვის საჭირო ფულის გადადების შესახებ. განოტომ მოაგონა პალატას მათის იმპერატორებითი უდიდებულესობას რა ალტაცებით მიეგება საფრანგეთის ერი, საფრანგეთში მოგზაურობის დროს. შემდეგ სთქვა, რომ იმპერატორი და იმპერატრიცა დიდი კმაყოფილნი დარჩნენ ფრანგებისაო. რუსეთის იმპერატორისაგან ეს არის ეხლა მიიღო ფორმა მინაწერი წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ფორის სტუმრობა დიდად გვასიამოვნებსო. შეიტყო რა მთავრობამ ეს, გადასწყვიტა წინადადება მისცეს პარლამენტს, რომ იმანაც თანხმობა გამოაცხადოს პრეზიდენტის მიპატიჟებაზე, და ამ რიგად საეროვნო მანიფესტაციის ხალხიერი დასდოს მას (გაცხარებული ტაშის ცემა) პროექტი ფულის გადაეების შესახებ საბიუჯეტო კომისიას გარდაეცა.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ფლიგელ-ადიუტანტი დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე დანიშნულ იქმნა სახელმწიფო ცხენთა-მომშენებლის უმთავრესის გამგეობის საბჭოს წევრად.

**კონსტანტინეპოლი.** პორტამ გუშინ პასუხი მისცა. დღეს ელჩთა კრება იქმნება.

**პარიჟი.** დღეს საბიუჯეტო კომისიამ უკამათოდ მიიღო პროექტი და გადასდო ხუთასი ათასი ფრანკი ფორის რუსეთში წასვლისათვის. ხვალ კრანცი მოხსენებას წაიკითხავს.

---

## განცხადებანი


ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и Ко.
ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
УСОВЕРШЕНСТВОВАННОЕ
ГЛИЦЕРИНОВОЕ
МЫЛО.




(11—მ.—1)